[illegible] თოფურის პირადი ფონდი

287 1 263

287 1 263

დასკანი... 18 01. 25 18

„წიგნის სამყარო", 1985, 8/VI, N-9

# ...ს თავის დადება

ქართული საბჭოთა ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი აკაკი თოფურია 1941 წლის 20 აგვისტოდან წითელი არმიის რიგებში ჯერ ასეულის მეთაურის მოადგილე, შემდეგ მეთაური იყო. თავისი სახელოვანი, საბრძოლო ცხოვრების მხოლოდ ერთი ეპიზოდი გადმოგვცა მან სტატიაში „დონლუზ-ორუნბაშის დაპყრობა" (კრებული „სამშობლოს ჯარისკაცები", „მეცნიერება", 1984).

წეობაში იგი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება სამამულო ომის თემას მწერალთა შემოქმედებაში. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მისი საუცხოო წიგნები ლეო ქიაჩელის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, სადაც მკვლევარი ცალკე განიხილავს ომის გმირთა სახეებს მწერლის ნაწარმოებებში. შრომაში „სამამულო ომის ექო" („ლეო ქიაჩელი", 1984), ა. თოფურია მოკლედ და საფუძვლიანად გვა-

## მეცნიერი, მეომარი



აკაკი თოფურიამ კავკასიის გარდა, სხვა საბრძოლო ადგილებშიც ასახელა სამშობლო. ომის მთელი გზა მამაცურად განვლო და თავისი წვლილი შეიტანა ფაშიზმის განადგურებაში. ამიტომ მას სრული მორალური უფლება ჰქონდა 1944 წელს დაწერილ ლექსში „ვდგავარ კარპატის ქედზე მხარგაშლით" ეთქვა:
**„ძირს, უფსკრულებში მტვრევით, განწაშით გადაიჩეხა მტრის შავი რაზმი. ვდგავარ კარპატის ქედზე მხარგაშლით, გამარჯვებული და ბუმბერაზზე".**

ცნობს ქართული მწერლობის დიდ ღვაწლს მტრის განადგურებაში, მის მონოლითურობას, შემდეგ კი ეხება ლ. ქიაჩელს, რომელმაც შექმნა მაღალიდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებები ამ თემაზე. მკვლევარი სანიმუშოდ განიხილავს ომის პირველსავე დღეებში დაწერილ ნოველას „მამა და შვილი".

აკაკი თოფურია ვრცლად მიმოიხილავს „მთის კაცს", სადაც დამაჯერებლად არის ნაჩვენები პატრიოტიზმისა და ხალხთა მეგობრობის ძალა. რომანში სიყვარულით არიან დახატული ქართველი ბათუ ქარდუა, რუსი კირილე გორაკოვი და სხვები, ვისმა თავგანწირვამაც იხსნა ჩვენი სამშობლო ფაშისტი დამპყრობლებისაგან. ამ წიგნისთვის მას ი. გოგებაშვილის სახელობის პრემია მიენიჭა.

ასეთსავე გეზს აგრძელებს ა. თოფურია გამოკვლევაში „გიორგი ლეონიძე" („უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია", ნაწ. 1. 1984).

გამოკვლევაში „რევაზ ასაევის პოეზია" („ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები", ცხინვალი, 1969) ა. თოფურია ეხება ოსი საბჭოთა პოეტის შემოქმედებით გზას და აღნიშნავს, რომ მის ნაწარმოებებში წამყვანი ადგილი უჭირავს დიდი სამამულო ომისა-



ლებს იმ ფაქტზე, რომ თვითონ რ. ასაევი აქტიურად მონაწილეობდა ამ ბრძოლებში.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ პროფ. აკაკი თოფურია ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოღვაწეობისას ლექცია-სემინარებზე, ლიტერატურული წრის სხდომებზე მაღალი პატრიოტული და პროფესიული სიამაყით აცოცხლებდა ომის გმირებს, ამ მარადიულ თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა მხატვრულ სახეებს.

აკაკი თოფურია — თბილისის უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკების გაერთიანებული კათედრის გამგე, პირნათელი დაღუპული თანამებრძოლებისა და მშობელი ხალხის წინაშე, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი — ახალი შემოქმედებითი გეგმებითა და ოპტიმიზმით აღსავსე ხვდება დიადი გამარჯვების მე-40 წლისთავს. სწორედ დიადი გამარჯვების საიუბილეო დღეებში იგი, როგორც ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის მეცნიერული კურსის ფუძემდებელი, წარდგენილია საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსის პრემიაზე სახელმძღვანელოსათვის „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა" (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1983).



## ეკონომიკა

**აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობის ზოგიერთი დარგის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები.** კრებული. რედაქტორი ელ. ქაჯაია. „მეცნიერება", 1985. 104 გვ. 1 000 ეგზ. 80 კაპ.

## ისტორია. ისტორიული მეცნიერებანი

**ზაქარიაძე ე. — დიდი სამამულო ომის ვეტერანები თბილისის უნივერსიტეტში.** რედაქტორი პ. ჯინჯოლავა. თბილისის უნ-ტის გამ-ბა, 1985. 46 გვ. 1 000 ეგზ. 25 კაპ.

**კვირკველია თ. — ძველთბილისური დასახლებანი.** რედაქტორი მ. ერისთავი, მხატვარი ლ. ღვინჯილია. „საბჭოთა საქართველო", 1985. 101 გვ. 20 000 ეგზ. 45 კაპ.

**ქართული წყაროთმცოდნეობა — კრებული VI.** რედაქტორი დ. ბაქრაძე. მხატვარი გ. ლომიძე. „მეცნიერება", 1985. 179 გვ. 1 000 ეგზ. 1 მან. 80 კაპ.

**ცქიტიშვილი კ. — ბრძოლა კავკასიისათვის: ლეგენდები და სინამდვილე.** რედაქტორი ზ. ფირცხალაიშვილი, მხატვარი ი. კუხიანიძე „საბჭოთა აჭარა", 1985. 174 გვ. 3 000 ეგზ. 1 მან. 50 კაპ.

## იურიდიული მეცნიერებანი

პედაგოგიური მოღვაწეობა). რედაქტორი ზ. ანჩაბაძე, მხატვარი პ. ცქვიტარია. „ალაშარა", 1985. 36 გვ. 500 ეგზ. 5 კაპ.

## მათემატიკა. ფიზიკა. გეოგრაფია. ბიოლოგია.

**არაბული ალ. — რას მერჩი ადამიანო?!** მოგვითხრობს საქართველოს ჩლიქოსანთა ეკოლოგიაზე. რედაქტორი ქ. კვინტრაძე, მხატვარი გ. ტუხაშვილი. „საბჭოთა საქართველო", 1985. 132 გვ. 3 000 ეგზ. 60 კაპ.

**კურკუმული გ. — ფიზიკის ამოცანების ამოხსნის ნიმუშები და სავარჯიშოები.** სახელმძღვანელო აბიტურიენტებისათვის. რედაქტორი დ. ლონდაძე. „განათლება", 1984. 654 გვ. 20 000 ეგზ. 1 მან. 10 კაპ.

**ცომაია ვ. — ქალარა კავკასიონის ახალგაზრდობის ხანა.** რედაქტორი გ. სვანიძე, მხატვარი გ. ლომიძე. „მეცნიერება", 1985. 42 გვ. 2 000 ეგზ. 30 კაპ.

## ტექნიკა. მრეწველობა

**გულუა შ. — მაძიებელი აზრის ინჟინერი.** მოგვითხრობს ენერგეტიკოს კონსტანტინე განიძეზე. რედაქტორი ი. ლებანიძე, მხატვარი ლ. ღვინჯილია. „საბჭოთა საქართველო", 1985. 55 გვ. 3 000 ეგზ. 20 კაპ.

**ევდოკიმოვი ფ., ფენჩენკო პ. — საგნის „უსაფრთხოების ტექნიკა ქვანახშირის შახტებში" სწავლება.** სახელმძღვანელო პროფსასწავლებლებისათვის. მთარგმნელი ლ. კიკნაძე, რედაქტორი ნ. ბაქრაძე. „განათლება", 1985. 215 გვ. 1 000 ეგზ. ფასი 35 კაპ.

**იანტე — ა. შიგაწვის ძრავების ძირითადი პრობლემების თერმოდინამიკური გამოკვლევა.** გერმანულიდან თარგმნა ბ. კორძაძემ. რედაქტორი რ. დვალი, მხატვარი გ. ლომიძე. „მეცნიერება", 1985. 290 გვ. 1 000 ეგზ. 2 მან. 10 კაპ.

**მენთეშაშვილი ფ. — სამრეწველო საწარმოთა და გაერთიანებათა საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი.** სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის. რედაქტორი ვ. ზურაბიშვილი. თბილისის უნ-ტის გამ-ბა, 1984. 493 გვ. 4 000 ეგზ. 1 მან. 30 კაპ.

**უფლისაშვილი ჯ., ჯავახიშვილი ნ. — ხაზვის ამოცანათა კრებული.** სახელმძღვანელო უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის. რედაქტორი მ. ბაზაძე. „განათლება", 1984. 303 გვ. 5 000 ეგზ. 80 კაპ.